ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება #116

08 მაისი 2018 წელი

ქალაქი რუსთავი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-19 მუხლის „ა“ ნაწილის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.გ“ და „ე.დ“ ქვეპუნქტების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ი“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის #669-ე დადგენილების მე-2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტისა და 34-ე მუხლის შესაბამისად, ასევე, “ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქონების სააუქციონოდ მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 03 იანვრის #1 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის 2018 წლის 07 მაისის #5268-02 რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმა, დანართი #1-ის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქალაქი რუსთავი, ბოსტან–ქალაქის №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ლევანი ონიანი

საკრებულოს თავმჯდომარე

						დანართი #1				
#	**საპრივატიზაციო ობიექტის დასახელება / დანიშნულება**	**ფუნქციური ზონები**	**საკადასტრო კოდი**	**მისამართი**	**მიწის ნაკვეთის ფართობი კვ.მ.**	**აუდიტის მიერ განსაზრვრული საწყისი საპრივატიზაციო საფასური (ლარი)**	**30%, ბე-ს ოდენობა (ლარი)**	**5%, ბიჯი-ს ოდენობა (ლარი)**	**აუქციონის ფორმა (უპირობო ან პირობებიანი)**	**შენიშვნა**
1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ; შენობა-ნაგებობა #1	ს-1	02.07.04.053	ქალაქი რუსთავი , ქუჩა დავით გარეჯი #30ა	3289	106 500	31 950	5 325	საკუთრების მოწმობის აღებიდან 3 (სამი) წლის ვადაში განხორციელდეს მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის რეკონსტრუქცია ან/და ახალი ობიექტის მშენებლობა.	1. საჭიროების შემთხვევაში, შესყიდულ მიწის ნაკვეთზე (როგორც მიწის ქვეშ, ასევე მიწის ზემოდან) ხაზოვანი კომუნიკაციის არსებობის შემთხვევაში მყიდველი საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მათ გადატანას 2.ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კოდით: 02.07.04.054) გავლით შესყიდულ მიწის ნაკვეთთან აუცილებელი მისასვლელი გზის მოწყობის საჭიროების შემეთხვევაში, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი, მესაკუთრის წერილობითი მომართვის საფუძველზე, განახორციელებს მიწის ნაკვეთის (ს/კოდით: 02.07.04.054) სერვიტუტის უფლებით დატვირთვისათვის საჭირო პროცედურების გატარებას.